საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვამეყ III დადიანი

ვამეყ III დადიანი, ოდიშის მთავარი 1658–60/62. *ლევან II დადიანის* სიკვდილის (1657) შემდეგ *ალექსანდრე III-მ* იმერთა მეფის დახმარებით, ხელთ იგდო ოდიშის სამთავრო ტახტი და დადიანის ტიტული. 1658 ბანძასთან დაამარცხა თავისი მეტოქე *ლიპარიტ III დადიანი*. 1660 იმერეთის სამეფოში გაჩაღებულ შინაომში ჩაერია, დიდებულთა დახმარებით დაიპყრო სამეფოს დიდი ნაწილი და მეფის ტიტულიც მიიღო. მის წინააღმდეგ გაილაშქრა ქართლის მეფე *ვახტანგ V*-მ, მაგრამ საქმე მორიგებით დამთავრდა: ვახტანგ V-ს იმერეთის სამეფოს ზემო მხარე დარჩა, დანარჩენი ნაწილი – ვ. III დ-ს. ამ უკანასკნელს თავისი ასული ქართლის მეფის ძის არჩილისათვის უნდა მიეთხოვებინა, რის შედეგადაც იმერეთის სამეფო არჩილის ხელში გადადიოდა. ვ. III დ-ს კი იმერეთი თავისთვის უნდოდა. მან პირობა დაარღვია და თავისი ასული იმერეთის ძლიერ თავად ბეჟან ღოღობერიძეს მიათხოვა. ამას მოჰყვა ვახტანგ V-ის მეორე ლაშქრობა. ვ. III დ-ს იმერეთისა და ოდიშის დიდებულთა დიდი ნაწილი განუდგა. მან თავდაპირველად ოდიშს მიაშურა, მაგრამ როდესაც ოდიშის ციხესიმაგრეებიც ვახტანგ V-ის ლაშქარმა დაიპყრო, სვანეთში გაიქცა. მისი ოჯახი ქართლის ლაშქარმა ჩაიგდო ხელთ. ვახტანგ V-მ ოდიშში ლევან II დადიანის ძმისწული შამადავლე დასვა მთავრად (იხ. *ლევან III დადიანი*). ვახტანგ V-ის მოკავშირემ, ლეჩხუმის მფლობელმა ხოსია ლასხიშვილმა ვ. III დ. სვანეთში მოაკვლევინა.

წყარო: ეგნატაშვილი ბ ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ბ ე რ ა ძ ე თ., ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1964, [ტ.] 2.